ოქმი:**ო02. 3724354001**

თარიღი:**19/12/2024**

ოქმი № 13
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2024 წელი, 17 დეკემბერი
ქ.ოზურგეთი
14:30-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ალ. ღლონტი, ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, ნ. სარჯველაძე, გ. შილაკაძე, ვლ. ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

   მომხსენებელი: ბექა თოიძე

   თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმის შესახებ.

   მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის კორექტირებულ პროექტზე, აღნიშნა, რომ საკრებულოში შემოტანილი იქნა არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში და პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ პ. ჭყონიას. თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ კომისიის წევრებს გააცნო 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, 2025 წლის ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრება 43.400. ათასი ლარით, შემდეგ თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ბიუჯეტის პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე, რომლებიც ფუნქციურად კომისიის შესწავლისა და განხილვის საგანია. აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები კორექტირებულ ბიუჯეტში გაიზარდა 2 მილიონი ლარით და შეადგინა 8 მილიონი. ამის შემდეგ თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ ისაუბრა საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების და ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების ბიუჯეტში გათვალისწინების

თაობაზე და განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა დარგობრივი კომისიების შენიშვნებზე. კორექტირებული ბიუჯეტის პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე შენიშვნები არ დაფიქსირდა. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო კომისიის სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი 2025 წლის სამუშაო გეგმა, კომისიის წევრებმა მოიწონეს გეგმა და მიზანშეწონილად მიიჩნიეს მისი წარდგენა საკრებულოს ბიუროზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

1. დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და დღის N 1 საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას განხილვა -დამტკიცების მიზნით.

2. კომისიის 2025 წლის სამუშაო გეგმა დასამტკიცებლად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე